პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 266 (13082) | პარასკევი, 13 ნოემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

## მეგობრული შეხვედრები

### ლ. ი. ბრეჟნევი და ა. ნ. კოსიგინი შეხვდნენ სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს

11 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი. ლ. ი. ბრეჟნევსა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა მეგობრული, გულითადი საუბარი.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი 10 და 11 ნოემბერს შეხვდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე კიმ ირი.

ა. ნ. კოსიგინისა და დელეგაციის წევრების საუბარმა გულახდილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

* * *

11 ნოემბერს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე იანოშ კადარი ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ა. ნ. კოსიგინს.

ი. კადარს თან ახლდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ი. სიპკა.

ვიზიტის დროს გაიმართა მეგობრული, გულითადი საუბარი.

# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

12 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა.

მოხსენება „საქართველოს სს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობა და გაუმჯობესების ღონისძიებანი" გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. ა. გეგეშიძემ.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **ო. ლოლაშვილი,** საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველი **ზ. ჯაფარიძე,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ი. ჩანბა,** საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საქართველოს სასოფლო მშენებლობის ტრესტის მმართველი **შ. თათარაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. კოპლატაძე,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **გ. ქართველიშვილი,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ჩიაევი,** საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენი მასალების მრეწველობის სამმართველოს უფროსი **გ. ცინცაბაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კუპავა,** საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე **ს. ლორთქიფანიძე,** საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. დოლიძე,** სახელმწიფო სამონტაჟო და სპეციალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი **ვ. კლოჩკო,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ლაბახუა,** საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე **ნ. გომელაური,** საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე **ე. ჯაფარიძე.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

პლენუმმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

## მეტი ზრუნვა მრავალწლიან ნარგავებს

მიმდინარე სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება. სულ მალე დაიწყება შვიდწლედის მეშვიდე — გადამწყვეტი წელი. რესპუბლიკის მშრომელებმა უკვე შეეჯახმეს განფლილი ათი თვის საწარმოო შედეგები და ახლა იბრძვიან იმისათვის, რომ დარჩენილ დღეებში წარმატებით შეასრულონ წლიური გეგმები.

ცნობილია, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მეჩაიეობას, მევენახეობასა და მებაღეობას უჭირავს. ქართულმა ჩაიმ, ყურძენმა და ღვინომ, ხილმა შორს გაითქვა სახელი. ამ დარგებში მიღწევები დიდია, მაგრამ ეს საკმარისი როდია. სოფლის ხვავმა და ბარაქამ რომ იმატოს, საჭიროა უფრო განვავითაროთ და მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ საზოგადოებრივი მეურნეობა; ამასთან უნდა ვიბრძოლოთ ყოველ ჰექტარზე მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის.

რესპუბლიკის პერსპექტიული გეგმის მიხედვით ჩაის პლანტაციების ფართობი საზოგადოებრივ სექტორში 1970 წლისათვის აყვანილ უნდა იქნას 73.400 ჰექტარამდე. ჩაის პლანტაციები წელს 3.770 ჰექტარზე უნდა გაშენდეს. პირველი ნოემბრისათვის რესპუბლიკაში ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა იყო. გაშენებულია მხოლოდ 545 ჰექტარი პლანტაციები. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში უნდა გაშენებულიყო 2.260 ჰექტარი ჩაის პლანტაციები. გაშენებულია 245 ჰექტარი. ზუგდიდის საწარმოო სამმართველოში ნაცვლად 563 ჰექტარისა გაშენებულია 98 ჰექტარი. ასეთივე მდგომარეობაა მეჩაიეობის სხვა რაიონებშიც.

ჩაის პლანტაციების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებისათვის მეჩაიეობის რაიონებში ბევრი გაკეთდა, მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ გვხვდება მეჩხერი და მოუფელი პლანტაციები. ამოცანა ის არის, რომ აგროვადებში და წესების ზუსტად დაცვით შეგასრულოთ პლანტაციების შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები.

როცა ვეხებით მრავალწლიანი ნარგავების გაშენებასა და მათი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებას, არ შეიძლება დავივიწყოთ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სიამაყე — ვაზი. მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები. გარდა იმისა, რომ აგროვადებში ვერ სრულდება ახალი ვენახების გაშენების გეგმები, ამასთან ახალშენი ვენახების მოვლა-პატრონობის საქმე ზოგან ცუდად არის დაყენებული, რის გამო ხშირად იღუპება ახალი ვენახები, უქმად იკარგება შრომა და თანხები.

საზოგადოებრივ სექტორში ვენახებს 55.400 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ეს ფართობი 1970 წლისათვის 122.000 ჰექტარამდე უნდა ავიდეს. აქედან წელს უნდა გაშენებულიყო 15.926 ჰექტარი. პირველი ნოემბრისათვის გაშენებულია 1.845 ჰექტარი. ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არადამაკმაყოფილებელია. ამ საქმეში ჩამორჩენა სწორედ მევენახეობის წამყვან რაიონებშია. თელავის საწარმოო სამმართველოში ნაცვლად 2.530 ჰექტარისა გაშენებულია 16 ჰექტარი ვენახი, გურჯაანის საწარმოო სამმართველოში ნაცვლად 1.650 ჰექტარისა — 39 ჰექტარი და სხვ. ჩამორჩენაა სხვა რაიონებშიც. ახლა ვენახის გაშენებისათვის კარგი ამინდებია. სადაც კარგად მოამზადეს პლანტაჟი, სადაც დროულად და საჭირო რაოდენობით მოიმარაგეს ნერგები, იქ, ცხადია, აგროვადებში დამთავრდება ახალი ვენახების გაშენება.

მევენახეობაში ჩამორჩენას უკანასკნელ წლებში ზოგან ამინდს აბრალებენ. ეს მთლად ასე როდია. წელს ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ხირსის საბჭოთა მეურნეობამ, ჯაფარიძის კოლმეურნეობამ, გურჯაანის საწარმოო სამმართველოს კარდანახის საბჭოთა მეურნეობამ და სხვ. ყურძნის უხვი მოსავლით ისახელა თავი აგრეთვე ზესტაფონისა და მაიაკოვსკის საწარმოო სამმართველოთა ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით არა მარტო მევენახეობის სხვა რაიონებზე, არამედ თვით ამავე რაიონების ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობის მევენახეებზეც. საინტერესო ის არის, რომ ერთი და იგივე ბუნებრივ პირობებში ზოგან ყურძნის დიდი მოსავალი მიიღეს, ზოგან კი მცირე. ეს იმის ბრალია, რომ ვენახებს აგროწესების ზუსტად დაცვით არ უვლიან, არ იბრძვიან სიმეჩხრის წინააღმდეგ.

ავიღოთ წინანდლის საბჭოთა მეურნეობის მაგალითი. აქ წლობით კარგად ვერ უვლიდნენ ვენახებს, რის გამო სიმეჩხრემ 40 პროცენტს მიაღწია. ცხადია, ასეთ პირობებში მოსავლიანობა მცირდებოდა. შარშან კი გარდატეხა დაიწყო. აქ მეცნიერმუშაკ გ. მანკავიძის მეთოდით დაიწყეს სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლა და წელს სასურველ შედეგს მიაღწიეს. ვენახებში სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლის მანკავიძის მეთოდს რესპუბლიკის მევენახეები გაეცნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდმის სასწავლო მეურნეობაში და მან ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

რესპუბლიკის მეხილეობის ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ წელს თავი ისახელა. მათ შორის აღსანიშნავია გორის საწარმოო სამმართველოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეხილეების საქმიანობა. მაგრამ მარტო ეს საერთო საქმეს ვერ შველის. წელს 13.029 ჰექტარი ხეხილის ბაღი უნდა გაშენებულიყო. ჯერჯერობით გაშენებულია 4.162 ჰექტარი. ახალი ბაღების გაშენებაში ჩამორჩენა უახლოეს მომავალში უნდა დავძლიოთ.

მეჩაიეების, მევენახეების, მეხილეების, სპეციალისტების, ამ რაიონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების სადღეისო ამოცანაა შეუნელებლად იბრძოლონ ჩაის ახალი პლანტაციების, ბაღ-ვენახების გაშენების გეგმის შესრულებისათვის.

## ზრომითი ნოგათი

□ **ტყვარჩელში** ხოჯალის ქედის წიაღში შახტპესის მშენებლობაზე სოციალისტური შრომითის ვახტზე დგომის პერიოდში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია გამოჩენილი გვირაბგამყვანის ნიკოლოზ ბახტაძის ბრიგადამ. ეს ბრიგადა მუშაობს მრავალკილომეტრიანი გაყვანაზე. და მიაღწია სანგრევი ბაზის ყოველდღიურად 80 გრძივი მეტრით წინწაწევას, რაც გვიჩვენებს მშენებლობაში საუკეთესო მაჩვენებლად ითვლება.

შტოლნის გაყვანაში დაწინაურდნენ გვირაბგამყვანები ი. შამბა, შ. წითლიძე და ნ. პლახტინი.

პ. ბარძაია.

□ **ჟუთაისი.** (საკ. კორ.). ჟუთაისტყიბულის რთულაროფლიან რკინიგზის შტოზე წარმატებით დაჰყავთ მძიმე წონის მატარებლები და ქვანახშირს ნორმის გადამეტებით ეზიდებიან ჟუთაისის საელოკომბინატი დეპოს მოწინავე მემანქანეები — ილია გოგოხია, გიზო მიქელაძე, ოთარ მელაძე, ავთანდილ სანიკიძე და მიხეილ გეტაძე. სხვა მემანქანეებთან ერთად მათ მიმდინარე წლის განსელილ ათ თვეში გადაიყვანეს 1.741 მძიმე წონის შემადგენლობა და ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 219.607 ტონა ქვანახშირი და სხვა სახალხო-სამეურნეო ტვირთები.

გ. მიქელაძემ გადაიყვანა 85 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით 15.615 ტონა ტვირთი გადაიტანა, ხოლო ი. გოგოხიამ 64 მატარებლით ნორმის გადამეტებით — 11.228 ტონა ტვირთი.

□ **თელავი.** (საკ. კორ.). თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატის ბევრ მოწინავე საწარმოო უბანზე ახლა უკვე მომავალი წლის ანგარიშში იძლევიან პროდუქციას — მარმარილოს ფიცრებს, ფხვნილს, სამოზაიკო ნამსხვრევს, სამშენებლო დეტალებს და ა. შ.

კომბინატის კოლექტივმა უკვე ათ თვეში შეასრულა წლიური გეგმა და შეძლო 1 ნოემბრისათვის წლიური გეგმის გადამეტებით 21 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვება, მშენებლებს გაუგზავნეს 42 ათას ტონაზე მეტი მარმარილოს ფხვნილი და მოსაპირკეთებელი დაფები.



**Сახალხо** მეურნეობის ყველა დარგში მამაცურად შრომობენ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდები. აი თბილისის საარაღო ქარხანა. ამ ქარხნის კოლექტივმა თვის საწარმოო დავალება 100,3 პროცენტით შეასრულა. ამ წარმატებაში დიდი შრომითი დამსახურება აქვს ქარხნის ახალგაზრდობას. ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა შ. ჩხეტიანმა გადაიღო, აღბეჭდილია ერთი ჯგუფი იმ ჭაბუკებისა და გოგონებისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შრომაში. აი მათი სახელები. (მარჯვნიდან მარცხნივ) მ. დვალიშვილი, შ. მამულაშვილი, ნ. შინკარენკო, ვ. ოდიშელიძე და რ. რამაზაშვილი.

## მეგობრების საზოგადოება

**მოსკოვი,** 11 ნოემბერი. (საკ. ინ.). დღეს შეიქმნა საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის საზოგადოება. ამ მოვლენას მიეძღვნა საბჭოთა საზოგადოებრობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც მეგობრობის სახლში გაიმართა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ კუბის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის სამდივნოს წევრი, მრეწველობის მინისტრი მაიორი ერნესტო გევარა, კუბის რესპუბლიკის ელჩს საბჭოთა კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესს, დელეგაციას კუბის ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის დირექტორის ნიკალდო მასსოლას მეთაურობით. მათთან ერთად პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. დემიჩევი, სხვა საბჭოთა, სახელმწიფო საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ხელოვნების ოსტატები.

კრება გახსნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოპოვამ. მოხსენება — საბჭოთა ხალხისა და კუბელი ხალხის მეგობრობა და თანამშრომლობა — გააკეთა საბჭოთა კავშირის გმირმა, კოსმონავტმა მფრინავმა ი. ა. გაგარინმა.

## ვოკალური ხელოვნების დღესასწაული

**მოსკოვი,** 11 ნოემბერი. (საკ. კორ.). ვოკალური ხელოვნების დიდი დღესასწაულის მომსწრე იქნებიან მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები. 22 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე მოსკოვში გაიმართება მ. პ. მუსორგსკის სახელობის ვოკალისტთა სრულიად საკავშირო კონკურსი. კონკურსი ეწყობა დიდ რუსი კომპოზიტორის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავად.

ეს საინტერესო შეჯიბრება მოეწყობა სამ ტურად და დამთავრდება კონკურსის ლაურეატთა დასკვნითი კონცერტით. ყიურის შემადგენლობაში შეიდნენ საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები.

## ვაჭრობა ფართოვდება

**მოსკოვი,** 11 ნოემბერი. (საკ. ინ.). დღეს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის საკავშირო მდივანმა ნ. ჯუვერნიჩმა ხელი მოაწერეს ოქმს საქონელბრუნვის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1965 წლისათვის, აგრეთვე შეთანხმებას იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან სსრ კავშირისათვის გემებისა და საცურაო საშუალებათა მიწოდების გაგზავნის შესახებ 1966-1970 წლებში.

ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად სსრ კავშირსა და იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საქონელბრუნვა 1965 წელს შეადგენს დაახლოებით 300 მილიონ დოლარს, რაც 35 პროცენტით გადააჭარბებს მიმდინარე წლისათვის ოქმით გათვალისწინებული ვაჭრობის მოცულობას.

1965 წელს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირიდან მიიღებს მანქანებსა და მოწყობილობას, ქვანახშირს, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, თუჯს, შავი ლითონის ნაგლინს, ფერომეტალურობებს, ალუმინს, აზბესტს, ქიმიურ და ფარმაცევტულ საქონელს, ავტომატებს, სათვმეს, ფოტოაპარატებსა და სხვა საქონელს.

საბჭოთა კავშირი იუგოსლავიიდან მიიღებს საზღვაო ტანკერებსა და საზღვაო მშრალტვირთიან თბომავლებს, სხვადასხვა მანქანასა და მოწყობილობას, შავი ლითონის ნაგლინს, ტყვიას, ფერადი ლითონის ნაგლინს, საკაბელო ნაკეთობას, შხამქიმიკატებს, ფანერს, სალანჩე ტყავს, თამბაქოს, ფეხსაცმელს, ტრიკოტაჟის ნაწარმს, ქსოვილებს, ავეჯსა და სხვა საქონელს.

1966-1970 წლებისათვის იუგოსლავიიდან სსრ კავშირისათვის გემებისა და საცურაო საშუალებათა მოწოდების შესახებ დადებული შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა კავშირში გაიოიგზავნება დაახლოებით 250 მილიონი დოლარის 78 დიდი საზღვაო გემი და საცურაო საშუალებანი, მათ შორის: 20,8 ათასი ტონა ტვირთამწეობის ტანკერები, 14,8 ათასი ტონა ტვირთამწეობის მშრალტვირთიანი თბომავლები, ბუქსირ-მბრუნებლები, მიწახაპიები, თვითმზიდი მიწასაწოვები და მცურავი დოკები.

ამ შეთანხმების რეალიზაცია ხელს შეუწყობს საბჭოთა საზღვაო ფლოტის აღჭურვას თანამედროვე სატვირთო და ტექნიკური გემებით, აგრეთვე იუგოსლავიის ნავსაშენთა საწარმოო სიმძლავრეების მყარ დატვირთვას.

## ლიბანელი სტუმრები საქართველოში

ორი დღეა საქართველოში სტუმრადაა ლიბანის აფრიკა-აზიის სოლიდარობის კომიტეტის დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის მოწვევით. დელეგაცია უკვე იყო მოსკოვში, ლენინგრადში, უზბეკეთში.

ლიბანელმა სტუმრებმა დაათვალიერეს რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი, იყვნენ საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმში. დელეგაციის წევრებმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის საქმიანობის გასაცნობად. აქ ისინი ესაუბრნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. ჯ. წერეთელს და სხვა მეცნიერებს.

საინტერესოდ ჩაიარა საქართველოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის წევრების შეხვედრამ ლიბანის აფრიკა-აზიის სოლიდარობის კომიტეტის მოღვაწეებთან.

დელეგაციის წევრებმა იმოგზაურეს მცხეთაში, სადაც დაათვალიერეს საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლები. გუშინ სტუმრები გაეცნენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატებსა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეგალიოების, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მუშაობას.

— ძალზე კმაყოფილი ვართ საქართველოში ჩამოსვლით, — თქვა საქმედსის კორესპონდენტთან საუბარში დელეგაციის მეთაურმა ლიბანის პროგრესულ-სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ქამალ ჯუმბლათმა. — გვინდა უფრო მეტ ხანს დავრჩეთ აქ, რომ საფუძვლიანად გავეცნოთ ქართველი ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს. მაგრამ ჩვენ კიდევ დავბრუნდებით საქართველოში. საქართველოს მიღწევებმა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

(საქდესი).

## გ. ს. ძოწენიძემ მიიღო

### ლიბანის აფრიკა-აზიის სოლიდარობის კომიტეტის დელეგაცია

12 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ მიიღო ლიბანის აფრიკა-აზიის სოლიდარობის კომიტეტის დელეგაცია, რომელიც თბილისში იმყოფება და რომელსაც მეთაურობს ლიბანის პროგრესულ-სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ქამალ ჯუმბლათი.

მიღებას დაესწრნენ ლიბანის პარლამენტის წევრები ფარიდ ეუურბანი და მუჰამედ აბას იაფი, პროგრესულ-სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ფარიდ აბუ პაიდარი, ამ პარტიის ხელმძღვანელობის წევრი აბას ხალაფი, ლიბანის აფრიკა-აზიის სოლიდარობის კომიტეტის მდივანი შაპიბ ეაბერი, ლიბანის სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მდივანი ნაჯლე მუთრანი, არაბ ნაციონალისტთა გენერალური სამდივნოს წევრი მოსმენ იბრაჰიმი.

გაიმართა საუბარი, რომლის დროს გ. ს. ძოწენიძემ სტუმრებს გააცნო საქართველოს ისტორიული წარსული, აწმყო და ის გარდაქმნები, რომლებიც საქართველოს მიწა-წყალზე მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

დელეგაციის მეთაურმა ქამალ ჯუმბლათმა მადლობა გადაიხადა ნაამბობისათვის, მასპინძლობისათვის.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გიგაშვილმა, საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა დ. ი. დოლიძემ, საქართველოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა ვ. ზ. გულისაშვილმა, ამ კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ნ. გ. კოკლავაშვილმა. (საქდესი).

## სახალხო მეურნეობის

## ეკონომიკა

## ფერვურდი — სამართალში

**მოსკოვი.** საზოგადოებრიობა ფართოდ გამოეხმაურა საერთაშორისო საგამომძიებლო კომიტეტის საქმიანობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის რასისტი ფერვურდის საქმის გამო, რაც მოსკოვში დაიწყო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სოლიდარობის მსოფლიო ფორუმის დღეებში. კომიტეტი იღებს უამრავ საბრალდებულო მასალას, რომლებიც ამხილებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აპარტეიდის რეჟიმის მხეცურ არსს. ეს მასალებია წერილები, ფოტო და კინოდოკუმენტები, წიგნები, ბროშურები.

საერთაშორისო საგამომძიებლო კომიტეტის მორიგი სხდომა უახლოეს დღეებში გაიხსნება ინდოეთის დედაქალაქ დელიში. სხდომაში მონაწილეობას მიიღებენ ბევრი ქვეყნის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები და იურისტები. სხდომაში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მთავარი ბრალმდებელი სსრ კავშირის საზოგადოებრიობისაგან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი ვ. მ. ჩხიკვაძე. (საქდესი).




## ნ. ტ. ფედორენკო შეხვდა უ ტანს

სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს და მასთან ერთად განიხილა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხება გენერალური ასამბლეის მომავალი სესიის მუშაობას.

## ატომური ვიზიტი

**ტოკიო,** 12 ნოემბერი. (საქდესი). დღეს დილით სასეგოს ნავსაყუდელში იაპონიის საგუშაგო ხომალდების თანხლებით შემოვიდა ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავი „ზღვის დრაკონი",

## მილოცვები იაპონიის პრემიერ-მინისტრს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა დეპეშა გაუგზავნა ბატონ ეისაკუ სატოს, რომელშიც ულოცავს იაპონიის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნას.

დეპეშაში გამოთქმულია იმედი, რომ ორივე მხარის ერთობლივი მეცადინეობით სსრ კავშირისა და იაპონიის კეთილმეზობლური ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის. (საკდესი.)

## კომუნიკე

### საბჭოთა კავშირისა და კუვეიტის მხარეების მოლაპარაკების შესახებ

**საბჭოთა** მთავრობის მოწვევით მოსკოვში იმყოფებოდა კუვეიტის სახელმწიფოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ფინანსებისა და მრეწველობის მინისტრი მისი აღმატებულება შეიხ ჯაბერ ალ-აჰმედ ალ-ჯაბერ ას-საბაჰი.

კუვეიტის სახელმწიფოს დელეგაცია მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

სსრ კავშირში ყოფნის დროს კუვეიტის დელეგაციას შეხვედრები და საუბრები ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტში, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროში.

ორივე მხარემ განიხილა ორი სახელმწიფოს ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტი ორივე მხარის ურთიერთხელსაყრელობისა და უპირატესობათა საფუძველზე, რომლებიც მათს ქვეყნებს შეიძლება მისცეს ასეთმა თანამშრომლობამ. ამასთან კუვეიტის მხარემ დაასახელა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო და სხვა ობიექტები, რომელთა აშენება განზრახული აქვს კუვეიტის ეკონომიკის განვითარების მიზნით.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ იგი სავსებით მზად არის ითანამშრომლოს ამ დარგებში და გაუზიაროს იმ ობიექტების მშენებლობის გამოცდილება, რომლებიც განხილვის საგანი იყო. ორივე ქვეყნის ეკონომიურ თანამშრომლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის უფრო კონკრეტული დაზუსტების მიზნით კუვეიტის დელეგაციის მეთაურმა საბჭოთა მხარეს გადასცა მიწვევა კუვეიტში საბჭოთა დელეგაციის გაგზავნის შესახებ, სადაც იგი გაეცნობა ეკონომიური საქმიანობის სხვადასხვა დარგს. საბჭოთა მხარემ მადლობით მიიღო ეს მიწვევა.

შეხვედრები და მოლაპარაკება, რომლებიც სსრ კავშირში კუვეიტის დელეგაციის ყოფნის პერიოდში მოხდა, მეგობრულობდა სრული გულახდილობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისადმი მხარეთა გულწრფელი მისწრაფების სულისკვეთებით.

## უკანასკნელ საათს

# გაბედულად, შემოქმედებითად

## დანერგოთ ახალი ტექნიკა ჭიათურის მარგანეცის აუზში

ჭიათურის მარგანეცის აუზის მაღაროებსა და გამამდიდრებელ ფაბრიკებში თვალსაჩინო მუშაობა მიმდინარეობს წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის.

1960 წელს „ჭიათურმარგანტრესტის“ სამმართველოში შეიქმნა ახალი ტექნიკისა და რაციონალიზაციის განყოფილება. მასთან ერთად ახალი ითხვისის მაღაროს ბაზაზე ჩამოყალიბდა ახალი ტექნიკის სამჭრო. სამჭროს ძირითადი მიზანია ჭიათურის მარგანტრესტის მაღაროებსა და ფაბრიკებში დანერგოს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

### დაბეჭდილ ნაბეჭდ ტ ტ ტ

საერთაშორისო მიმოხილვა
დედამიწის ცხოვრების ცხოვრება

# უცხოეთის ამბები

## დღეები და მოვლენები

# მდგომარეობა სუდანში

**კაირო,** 11 ნოემბერი. (საკადესი). როგორც ხართუმდან იტყობინებიან, გუშინ სუდანში მთელი დღე ეწყობოდა დემონსტრაციები მთავრობის მხარდასაჭერად. დემონსტრაციებში მონაწილეობდა ათასობით სუდანელი, რომლებიც ხართუმში ამ ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოვიდნენ. დემონსტრანტებმა გაიარეს დედაქალაქის მთავარ ქუჩებში, ერთხმად გაიძახოდნენ ანტიიმპერიალისტურ ლოზუნგებს. დემონსტრანტები შეიარაღებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საელჩოთა კარებთან და ქვა დაუშინეს უცხოელთა ავტომანქანებს, რომლებიც იქ იდგნენ.

გუშინ თავს დაესხნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საელჩოს. კაიროს პრესა აღნიშნავს, რომ ეს გამოხდომა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საელჩოს წინააღმდეგ რეაქციულმა წრეებმა მოაწყეს. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საელჩოს ეწყვნენ სუდანის ახალი მთავრობის მინისტრები, მთავრობის სახელით ბოდიში მოიხადეს და სინანული გამოთქვეს მომხდარი ამბის გამო.

სუდანის პრემიერ-მინისტრმა ხალიფამ გუშინ რადიოთი მიმართა ხალხს. მან სუდანელებს მოუწოდა დაიცვან სიმშვიდე და შეუდგნენ ყოველდღიურ საქმიანობას.

ომდურმანის რადიომ გადასცა აგრეთვე პრემიერ-მინისტრ ხალიფას მოწოდება სუდანის სამხრეთ რაიონების მოსახლეობისადმი. ხალიფამ განაცხადა, რომ გარდამავალი მთავრობა სამხრეთის პრობლემის გადაწყვეტას შეუდგება მაშინვე, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, ვინაიდან ეს პრობლემა მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნია. ამიტომ იგი ისწრაფვის განახორციელოს სუდანის სამხრეთ რაიონებში ნდობის აღდგენის პოლიტიკა.

## ინგლისის ახალი ბიუჯეტის პროექტი

**ლონდონი,** 11 ნოემბერი. (საკადესი). დღეს ინგლისის ფინანსთა მინისტრმა კალაგენმა პარლამენტს წარუდგინა ახალი ბიუჯეტის პროექტი. ეს ფინანსური გეგმა სასწრაფო ღონისძიებაა, რომელიც ლეიბორისტულმა მთავრობამ განახორციელა ინგლისის მზარდ ეკონომიურ სიძნელეებთან დაკავშირებით. ბიუჯეტის მთავარი მიზანია შეავსოს ინგლისის ხაზინა, რომელიც გამოფიტა საგარეო ვაჭრობის ქრონიკულმა დეფიციტმა.

## სუდანის მთავრობის გადაწყვეტილება

**კაირო,** 11 ნოემბერი. (საკადესი). დღეს ომდურმანის რადიომ გადასცა, რომ სუდანის ახალმა მთავრობამ სპეციალურ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება გაათავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი სუდანის სამხრეთ პროვინციებში. ისინი დააპატიმრა სუდანის წინანდელმა მთავრობამ სუდანის სამხრეთ რაიონებში მომხდარი არეულობის დროს. ამას იუწყება მენის სააგენტო.

## მოგგაურები სამეოცლოში

**პრაღა,** 11 ნოემბერი. (საკადესი). დღეს ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა მოგზაურებმა ინფინრებმა მიროსლავ ზიკმუნდმა და ირჟი განზელკამ დაამთავრეს თითქმის 5 წლის მოგზაურობა ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

ორი ავტომანქანით — „ტატრა-85“ — მათ გაიარეს დაახლოებით 80 ათასი კილომეტრი, იყენენ 30-ზე მეტ სახელმწიფოში, მათ შორის საბჭოთა კავშირში. მოგზაურობის დროს გადაიღეს 140-ზე მეტი სატელევიზიო ფილმი, სრული მეტრაჟის ფერადი ფილმი ქაშმირის შესახებ, მოამზადეს ასობით რადიორეპორტაჟი. მსოფლიო პრესამ მათგან მიიღო 80 ათასზე მეტი ფოტოსურათი.

პრაღაში მოგზაურებს მიესალმნენ მეცნიერთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის ბევრი წარმომადგენელი.

## ანტონინ ნოვოტნი

**პრაღა,** 12 ნოემბერი. ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ნოვოტნის ბიოგრაფიას, რომელიც დღეს კვლავ აირჩია ეროვნულმა კრებამ.

ა. ნოვოტნი დაიბადა 1904 წლის 10 დეკემბერს პრაღაში მუშის ოჯახში. მუშაობდა მექანიკოს ზეინკლად. ახალგაზრდობიდანვე სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიაში, რომლის რიგებში 1921 წელს შევიდა.

1928 წლიდან ა. ნოვოტნის მთელი ტიგი დიდმნიშვნელოვანი პოსტები ეკავა პარტიაში. 1929 წლის შემდეგ პრაღის კარლინის რაიონის პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო. ოცდაათიან წლებში ა. ნოვოტნი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პრაღის საოლქო ხელმძღვანელობის შემადგენლობაში შედიოდა, 1935 წელს მონაწილეობა მიიღო კომუნისტურ ინტერნაციონალის VII კონგრესში, რომელიც მოსკოვში გაიმართა. 1937-1938 წლებში ა. ნოვოტნი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პრაღის საოლქო ხელმძღვანელობის მდივანი და გოდინის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო.

ოკუპაციის წლებში, მას შემდეგ, რაც პარტია არალეგალურად მუშაობდა, ა. ნოვოტნი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პრაღის საოლქო ორგანიზაციის არალეგალური ხელმძღვანელობის წევრი გახდა. 1941 წლის სექტემბერში იგი გესტაპომ დააპატიმრა და მაუტჰაუზენის ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსა. საკონცენტრაციო ბანაკში სხვა ამხანაგებთან ერთად ა. ნოვოტნი აქტიურად მონაწილეობდა არალეგალურ მუშაობაში.

საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ ა. ნოვოტნი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პრაღის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, ხოლო 1964 წელს პარტიის VIII ყრილობამ იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩია. 1951 წელს ა. ნოვოტნი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახდა და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს. 1953 წლის იანვარში იგი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნეს. ამავე წლის მარტში ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე დაბრუნდა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს. 1957 წლის 19 ნოემბერს ა. ნოვოტნი აირჩიეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტად. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XII ყრილობაზე ამხანაგი ნოვოტნი კვლავ აირჩიეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

## ანტონინ ნოვოტნი — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი

**პრაღა,** 12 ნოემბერი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს ანტონინ ნოვოტნი.

იგი აირჩიეს დღეს ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების სესიაზე. ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს მეთაურს ეროვნული კრება ირჩევს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, 5 წლით.

## მეგობრობის აქჟი

**მალი** რესპუბლიკაში საბჭოთა ექიმების ახალი ჯგუფის გაგზავნა მეგობრობის აქტია და ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, განაცხადა ბამაკოში მალის რესპუბლიკის სახელმწიფო აღმინისტრაციისა და შრომის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა უმარ ბაბა დიარამ.

## ინდონეზია-მალის ერთობლივი კომუნიკე

**ჯაკარტა,** 11 ნოემბერი. (საკადესი). აქ გამოქვეყნდა ინდონეზია-მალის ერთობლივი კომუნიკე ინდონეზიაში მალის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოდიბა კეიტას სამი დღის ვიზიტის შესახებ. კომუნიკეში აღნიშნულია: ინდონეზიისა და მალის ხელმძღვანელებმა „დაადასტურეს, რომ საჭიროა აქტიურად განაგრძონ გადამწყვეტი და განუწყვეტელი ბრძოლა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის — ყველა მათი ფორმის წინააღმდეგ“.

„ორივე პრეზიდენტი — ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, — გადაჭრით მხარს უჭერს აფრიკისა და აზიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ისინი გმობენ იმპერიალიზმის საშიშ პროვოკაციებს, რომელიც ხელყოფს აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ხალხების დამოუკიდებლობას“.

კომუნიკეში დაგმობილია გამალებული შეიარაღების პოლიტიკა, რასაც იმპერიალისტები ახორციელებენ, და იმპერიალიზმის განზრახვა შეინარჩუნოს თავისი სამხედრო ბაზები აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ტერიტორიებზე. ეს ბაზები აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა საქმეებში ჩარევის, იბტერვენციისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის წყაროა. ორივე პრეზიდენტს მიაჩნია, რომ მშვიდობა და უშიშროება შეიძლება დამყარდეს მსოფლიოში მხოლოდ მაშინ, თუ საბოლოოდ მოისპობა იმპერიალიზმი, კოლონიალიზმი და ნეოკოლონიალიზმი და ექსპლოატაციის ყველა ფორმა.

პრეზიდენტებმა გამოთქვეს იმედი, რომ აფრიკა-აზიის მომავალი კონფერენცია, რომელიც ალჟირში გაიმართება, წვლილს შეიტანს ბრძოლაში იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ და განამტკიცებს აზიისა და აფრიკის ხალხების სოლიდარობას.

## გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დაეხმარება საბერძნეთს

**ათენი,** 11 ნოემბერი. (საკადესი). ბონიდან დაბრუნების შემდეგ ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გარუფალიასმა განაცხადა, რომ „ეკონომიური და სამხედრო ხასიათის ყველა სადავო საკითხი“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „კეთილად გადაწყდა“. მან თქვა, რომ 1965 წელს დასავლეთი გერმანია საბერძნეთს სესხად მისცემს 9 მილიონ დოლარს და მიმდინარე წელს მთლიანად შესარულებს თავის ვალდებულებებს მის მიმართ.

გარუფალიასმა თქვა აგრეთვე, რომ დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრი ფონ ჰასელი ნატოს საბჭოს ზამთრის სესიაზე მხარს დაუჭერს საბერძნეთის თხოვნას, რომ ნატომ კვლავ გაუწიოს და გაუდიდოს მას დახმარება.

გარუფალიასს არაფერი არ უთქვამს, განიხილა თუ არა მან ბონში სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ნატოს „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნასთან. ამ დროს კი საბერძნეთის დემოკრატიულმა პრესამ აღნიშნა, რომ ეს საკითხები ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი იყო მისი მოლაპარაკების დროს.

## ადიდებენ გინის ქირას

**იტალიის** მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც უფლებას აძლევს სახლის მფლობელებს 10 პროცენტით გაადიდონ ბინის ქირა. ერთსა და იმავე დროს გადაწყვეტილია ერთი წლის შემდეგ გაუქმდეს ბინის ქირის მომატების ყოველგვარი შეზღუდვები.

## გუამს უნდა მიენიჭოს დამოუკიდებლობა

**ნიუ-იორკი,** 12 ნოემბერი. (საკადესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „24 სახელმწიფოს კომიტეტმა“ დაადასტურა გუამის ხალხის თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის ხელშეუვალი უფლება და მოუწოდა შეერთებულ შტატებს, როგორც მმართველ სახელმწიფოს, დაუყოვნებლივ შეუფარდოს გუამს დეკლარაცია კოლონიური. ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. საბჭოთა დელეგაციის წინადადებით კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გაგზავნონ გუამში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელნი.

**ამაცი** ადამიანები იბრძვიან თავისუფალი და დამოუკიდებელი ვენესუელისათვის. მიუხედავად მთავრობის მხრივ დევნისა და რეპრესიებისა, პარტიზანთა რიგები იზრდება. მათს ხელმძღვანელს ფაბრისიო ოხედას გავლილი აქვს ვენესუელის საპყრობილეებისა და პოლიციის დილეგების სასტიკი სკოლა. ახლა იგი თავის მეგობარ პარტიზანთა შორის არის ვენესუელის მთებში.

**სურათზე:** ფ. ოხედა (მეორე რიგში მარჯვნიდან მეორე) პარტიზანთა შორის.

ფოტო პრესსა ლატინა—საკადესისა.

## ირჩიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

**ბერლინი,** 11 ნოემბერი. (საკადესი). დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის 118 მცხოვრები გადმოვიდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მარტო ოთხი დღის განმავლობაში 6 ნოემბრიდან 9 ნოემბრამდე, იუწყება ადნის საგაზეთო. გადმოსახლებულთა თითქმის მესამედი ახალგაზრდობაა — 19-25 წლის ასაკისა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილ მცხოვრებთა სიტყვით, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოსვლის სურვილი მათ აღუძრა უმთავრესად იმან, რომ დასავლეთ გერმანიის სინამდვილეში ორა აქვთ ხვალინდელი დღის რწმენა და არიან უბრუნველყოფილი სოციალურად.

## ოლთძლმავალმა კედელი გაანგრია

**ლონდონი.** 10 ნოემბერს ინგლისის ქალაქ ბრადფორდში (ორკუშირის საგრაფო) ლიანდაგს ასცდა სატვირთო მატარებელი, რომელიც მიდიოდა საათში 80 კილომეტრის სიჩქარით. მემანქანემ, მეცეცხლურმა და გამყოლმა უკანასკნელ მოენტში მოახერხეს მატარებლიდან ჩამოხტომა. ოროთქლმავალმა გაანგრია ლიანდაგის ახლოს მდებარე კედელი, გავიდა ქუჩაზე და გაიარა ასფალტზე 12 მეტრი.

**ფერმუარი:** — არის შემთხვევები, ქალბატონო დედამიწავ, როცა ჩვენს ქვეყანაში დისკრიმინაცია არ არის...

ნახატი რუმინელი მხატვრის ვ. ტიმოკისა.

## ამერიკა ეხმარება ჩომბეს

**ნიუ-იორკი,** 11 ნოემბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დიდ ფინანსურ და სამხედრო დახმარებას უწევს ჩომბეს მის ბრძოლაში კონგოს პატრიოტული ძალების წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების მძიმე სატრანსპორტო სამხედრო თვითმფრინავები მონაწილეობენ კონგოს არმიის ნაწილების, სეომარი მასალებისა და აღჭურვილობის გადატანაში ამ ქვეყნის იმ რაიონებში, სადაც ჩომბე თავს უყრის დამსჯელ ძალებს. როგორც გაბეტ „ნიუ-იორკ პოსტის“ კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ხელს უწყობდა ჩომბესთვის კუბელ ემიგრანტთა შორის მფრინავთა შეგროვებას.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, სამხრეთ როდეზიისა და სხვა ქვეყნების დაქირავებულებთან ერთად კუბელი კონტრრევოლუციონერი მფრინავები მონაწილეობენ სეომარ მოქმედებაში კონგოელ პატრიოტთა წინააღმდეგ. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქალაქ კინდუზე შეტევის დროს 190 ბელგიელის, სამხრეთაფრიკელის, როდეზიელისა და სხვა დაქირავებულებისგან შემდგარი რაზმი წინ მიიწევდა კონგოს ჯარების კოლონიის სათავეში. ამ შეტევის დროს კუბის კონტრრევოლუციონერები, რომლებმაც სამხედრო მომზადება გაიარეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ცეცხლს უშენდნენ თვითმფრინავებიდან „ვ-26“ აკაზყებულთა მიერ გზებზე დადგმულ ღობურებს.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ კონგოს ფარგლებს გარეთ შეგროვილ დაქირავებულებს აქვთ თანამედროვე ნაღმსატყორცნები, ქვემეხები, ავტომატური იარაღი და ბაზუკები ჩომბეს დემორალიზებული არმიის დასახმარებლად. ისინი იღებენ დიდ ხელფასს და სტრასათს, რომლებიც მათთვის მიაქვს ამერიკის თვითმფრინავებს „ს-130“. დაქირავებულთა რაზმები გადაჰყავს ამერიკის სატვირთო მანქანებსა და ჯიპებს. სამხედრო უპირატესობა, რომელსაც მიაღწია ჩომბემ უკანასკნელ ხანს, აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით „ნიუ-იორკ პოსტი“, მის მიერ თეთრკანიანი დაქირავებულთა რაზმების გამოყენების შედეგია.

## ჰატასტროფა ჰაერში

**ნიუ-იორკი.** ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მონტანის შტატის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 11 ნოემბერს დილით დაამსხვრა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული სამხედრო-საჰაერო ძალების რეაქტიული ბომბდამშენი „B-52“. თვითმფრინავში 7 კაცი იყო. მათი ბედი გაურკვეველია.

**რომი.** სამხრეთ იტალიაში საცდელი ფრენის დროს ქალაქ ფოჯის მახლობლად აფეთქდა ავიაგამანადგურებელი „T-33“. ორი მფრინავი დაიღუპა.

**რომის მახლობლად** აეროდრომზე დაჯდომისას დაიმსხვრა იტალიის კიდევ ერთი ავიაგამანადგურებელი „T-33“.

## ლიგანის მოსახლეობა

**პარიზი.** ლიბანის მთავრობასთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, ამ ქვეყნის მოსახლეობა 1963 წლის 31 დეკემბრისათვის 2.227.800 კაცს შეადგენდა.

ასეთი ცნობა, აღნიშნავს ფრანს პრესის სააგენტო, 1932 წლიდან პირველად ქვეყნდება.

## საერთაშორისო მიმოხილვა

ბოლო ხანებში უაღრესად გამწვავდა ცხარე დისკუსია, რომელიც აი უკვე რამდენიმე წელია წარმოებს ჩრდილოეთ-ატლანტიკური კავშირის ქვეყნებში ამ სამხედრო ბლოკის ერთობლივი ატომური ძალების შექმნის სხვადასხვა გეგმის გამო. „ატლანტიკური კრიზისი“, როგორც დასავლეთის პრესა უწოდებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა ახალ გამწვავებას, წარმოიშვა უწინარეს ყოვლისა ეგრეთწოდებული „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის ამერიკულ პროექტთან დაკავშირებით.

ეს პროექტი ითვალისწინებს ფლოტის შექმნას 25 წყალზედა ხომალდისაგან, რომელთაგან თითოეული შეიარაღებული იქნება ატომური მუხტით აღჭურვილი „პოლარისის“ 8 რაკეტით. ნავარაუდევია ხომალდების ეკიპაჟები დაკომპლექტდეს რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და ევროპის მთელი რიგი პატარა სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან.

მაგრამ ამერიკის ნატოელ პარტნიორთა უმრავლესობა მეტად ცივად შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პროექტს. და მხოლოდ ერთმა ქვეყანამ გამოიჩინა ენთუზიაზმი და მხურვალე დაინტერესება იმით, რომ ამერიკული ნიმუშით შეიქმნას ატომური ძალები. ეს, რა თქმა უნდა, დასავლეთი გერმანიაა, რომელსაც მიიჩნია, რომ ამერიკული პროექტი არა მარტო სასარგებლო სამხედრო ინსტრუმენტია მისი რევანშისტული პოლიტიკის განსახორციელებლად, არამედ საშუალებაა, რომ განამტკიცოს საკუთარი პოზიციები ნატოს შიგნით.

ბონი ცდილობდა სხვა ქვეყნების მთავრობები დაეყოლიებინა, რომ დადებითი გადაწყვეტილება მიეღოთ მრავალმხრივ ძალებში მონაწილეობის შესახებ. ამ ბოლო დროს ბონი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაზეც ახდენდა ზეგავლენას იმ მიზნით, რომ დაეჩქარებინა ნატოს მრავალმხრივი ძალების შექმნა და, თუ სხვა მოკავშირენი უარს იტყოდნენ, დაედო ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი ხელშეკრულება ასეთი ძალების შექმნის შესახებ.

ჯერ კიდევ ამ ცოტახანის წინათ კანცლერმა ერჰარდმა დაიმოწმა პრეზიდენტ ჯონსონთან 12 ივნისის შეთანხმება და განაცხადა, რომ ნატოს ატომური ძალები უნდა შეიქმნას რაც შეიძლება მალე, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დამლევამდე.

თუ რას იწვევს ბონის ასეთი აქტივიზაცია, ამას ცხადყოფს ცვლილებები, რომლებსაც ცხარე დისკუსია, რომელიც აი უკვე რამდენიმე წელია წარმოებს ჩრდილოეთ-ატლანტიკური კავშირის ქვეყნებში ამ სამხედრო ბლოკის ერთობლივი ატომური ძალების შექმნის სხვადასხვა გეგმის გამო. „ატლანტიკური კრიზისი“, როგორც დასავლეთის პრესა უწოდებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა ახალ გამწვავებას, წარმოიშვა უწინარეს ყოვლისა ეგრეთწოდებული „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის ამერიკულ პროექტთან დაკავშირებით.

ის, რომ სამხრეთაფრიკელი რასისტები დაეინტერესნენ ამის ამბავზე შეეცალონ თავიანთი პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში, ჯადევ ერთხელ ადასტურებს, რომ საკითხია განახორციელონ გადამწყვეტი პოლიტიკური და ეკონომიური საღონეები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომლებიც რეკომენდებულია 24 სახელმწიფოს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხთა სპეციალური კომიტეტის გუშინდელ მოხსენებაში.

ამ ბოლო დროს ეს საკითხი მოეგვარებინა გენერალური ასამბლეის 1962 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციის საფუძველზე.

ეს, ალბათ, ადვილი რასისტებისთვის, ეს ალბათ, ადვილი ეგონა ბონის ოფიციალურ პოლიტიკას.

**ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა**

# დიდი ხელოვნების გზით

**ქართული** კინემატოგრაფია ახალი ფეხადგმული იყო... ჩვენს კინოსტუდიას ორად-ორი ფიცარული ეჭირა.

...თბილისი, 30-იანი წლები. ვიწრო ქუჩები. ჯერ კიდევ აღმოსავლური იერის თბილისს-ქალაქი. ქუჩის გზაჯვარედინებზე საფიშე მრგვალი ბოძები დგას. „ჯიმ შვანთე"... „ჯიმ შვანთე" (სვანური მარილი) ახალი კინოფიშებით აჭრელდა ქალაქი.

ამ ფილმის დამდგმელი გახლდათ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მიხეილ კალატოზიშვილი.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, დიდი დრო გავიდა და „ჯიმ შვანთე" მაინც არ ჩამოდის ეკრანიდან, ჩამოდის კი არა, ამ ცოტა ხნის წინათ „სვანურმა მარილმა" კიდევ ერთხელ გაიარა თანამედროვე მაყურებელი...

1961 წელს მოსკოვის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალზე ცნობილმა ჰოლანდიელმა კინორეჟისორმა იორის ივენსმა განაცხადა, ეს დიდი ეროვნული სულისკვეთების ფილმია და ამ სურათით საქართველო „დაუსწრებლად" შეიძლება შეიყვაროო.

„ჩაპაევის" გვერდით თვალსაჩინო საბჭოთა კინონაწარმოებების ჩამოთვლისას აუცილებლად ახსენებენ ფილმს „ვალერი ჩკალოვს", რომლის შემქმნელი ჩვენი სახელოვანი თანამემამულეა.

იმ დროიდან მოყოლებული მიხეილ კალატოზიშვილი მოსკოვის კინოსტუდიაში მუშაობს და დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა დღემდე.

ვინც ბევრისმნახველ ადამიანებს დაჰკვირვებია, შეამჩნევდა, რომ ისინი არცთუ ისე დიდი ხალისით ლაპარაკობენ. მაგრამ თუ „აიყოლიე", მაშინ უამრავ საინტერესო ამბავს გადმოგიშლიან. ისეა მიხეილ კალატოზიშვილიც. მას ძალიან უბრალოდ შეუძლია ილაპარაკოს დიდ ამბებზე, მოგზაურობაზე ევროპაში, ამერიკაში, ჰემინგუეის მეგობრებთან შეხვედრაზე, „დიდი ვალისა" და „მარი ოქტომბრის" დამდგმელ რეჟისორ დიუვივიესთან მეგობრობაზე. მიხეილ კალატოზიშვილი არაერთხელ შეხვედრია სახელგანთქმულ ჩარლი ჩაპლინსაც. დინჯად, მაგრამ რამდენადმე აღელვებული იგონებს იგი ამ გარდასულ ამბებს.

მიხეილ კალატოზიშვილის შემოქმედება იმ მხატვრის გზაა, რომელიც გაანუწყვეტლივ ეძებს გამომსახველობის ახალ საშუალებებს. რეჟისორის გამარჯვება იყო „მიფრინავენ წეროები", რომელმაც „მსოფლიო ეკრანი" შემოიარა და კანს საერთაშორისო კინოფესტივალზე „დიდი ჯილდო" მიიღო. ჩვენი მაყურებელი კარგად იცნობს მიხეილ კალატოზიშვილის ფილმებს — „კონცერტი ფრონტს", „შეუდრეკელნი", „პირველი ეშელონი", „გაუგზავნელი წერილი", სადაც მძლავრად იგრძნობა შთაგონებული ხელოვანის ნიჭი.

აი ამ დღეებში ვნახეთ მიხეილ კალატოზიშვილის კიდევ ერთი ახალი ნამუშევარი — „მე კუბა ვარ". ჩვენი თანამემამულე თოთქმის ორ წელიწადს ცხოვრობდა რევოლუციურ კუნძულზე და კუბელ კინომუშაკებთან ერთად ქმნიდა ფილმს სიცოცხლეზე, ბრძოლაზე, გამარჯვებაზე.

ეს ფილმი თავისი დიდი მასშტაბურობით ახალი სიტყვაა საბჭოთა კინოხელოვნებაში. კინოსტუდია „ქართული ფილმის" კლუბში, სადაც შეხვედრა მოეწყო ამ ფილმის დამდგმელ ჯგუფთან, ქართველი მაყურებელი ჭეშმარიტად დიდი ხელოვნების მოწმე გახდა.

ეს დღე მიხეილ კალატოზიშვილის საიუბილეო თარიღს დაემთხვა. იგი დაბადების სამოცი წლისთავს მშობლიურ მიწაზე შეხვდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კინოხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიხეილ კალატოზიშვილს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის სამატიო წოდება მიენიჭა.

— **გულითადი მადლობა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა მშობლიურმა ქვეყანამ ესოდენ დიდი პატივი დამდო.**

ეს სიტყვები მიხეილ კალატოზიშვილმა მღელვარებით და თავისი ქვეყნის წინაშე ვალის მოხდის მტკიცე რწმენით წარმოთქვა.

**თ. ჟვარიანი.**

## მკითხველის კალმით

△ „**მასწავლებლის** დღეს", რომელიც თელავის მასწავლებლის სახლის გამგეობამ მოაწყო, სოფლის სკოლების დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, შრომის მასწავლებლებმა დაათვალიერეს წინანდლის, ფშავლის, ვანთის, კონდოლის, ნაფარეულისა და სხვა სკოლების სასწავლო ნაკვეთები, ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები, სახელოსნოები. შემდეგ გაიმართა კონფერენცია, სადაც ჰედაგოგებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება.

**მ. ზურაბოვი.**

△ ქედის რაიონული კულტურის სახლის დარბაზი რეკონსტრუქციის შედეგად 150 ადგილით გაიზარდა, გაფართოვდა სცენა, რითაც შესაძლებელი გახდა ფართოეკრანიანი ფილმების ჩვენება.

ამ დღეებში ქედელმა კინომაყურებლებმა აქ ნახეს ფართოეკრანიანი კინოფილმი „ვინა ხართ თქვენ, დოქტორო ჭორგე?"

**ს. ბეჟანიძე.**

△ ახალციხის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება — გამოუშვა ხილ-ბოსტნეულის 3.570 ათასი ეკალი ქილა კონსერვი.

ახალციხის მარკით უკვე 3 მილიონზე მეტი ქილა კონსერვი გაიგზავნა მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში, მურმანსკსა და სხვა ქალაქებში.

**შ. მუსერიძე.**

# ჟღერს ორღანი

**მნიშვნელოვან** მოვლენად იქცა თბილისის კოსტერვატორიის დიდ დარბაზში ორღანის აგება. მუსიკის მოყვარულებს საშუალება მიეცათ მოესმინათ საორღანო ნაწარმოებები. ამ ინსტრუმენტზე „ცოცხალი" შესრულებით. ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რაც პირველი ქართული ორღანისტის **ეთერ მგალობლიშვილის** გამოსვლამ გამოიწვია.

ეთერ მგალობლიშვილმა დაწყებითი მუსიკალური განათლება თბილისის მე-2 მუსიკალურ სასწავლებელში მიიღო. შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტზე პროფესორ შაცკესის კლასში. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მგალობლიშვილი სწავლას განაგრძობს მოსკოვის ასპირანტურაში, პარალელურად ეუფლება ორღანის დაკვრის ტექნიკას პროფესორ ლეონიდ როზმანის ხელმძღვანელობით.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მგალობლიშვილი წარმატებით მართავდა კონცერტებს საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში.

მგალობლიშვილის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო ბახის სახელობის კონკურსში მონაწილეობა 1964 წლის მაისში ლაიპციგში, სადაც მან ლაურეატის წოდება მოიპოვა. „გერმანიაში ყოფნისას მგალობლიშვილს წილად ხვდა ბედნიერება დაეკრა ზილბერმანის ორღანი, რომელიც გახთმეულია, როგორც სტრადივარიუსის ვიოლინო. ამ ორღანის დაკვრა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

საბჭოთა კავშირში გამართული კონცერტების შემდეგ ეთერ მგალობლიშვილი პირველად წარსდგა მშობლიური ქალაქის მსმენელთა წინაშე.

საკონცერტო პროგრამაში მეტწილად წარმოდგენილი იყო ბახის საორღანო ნაწარმოებები: ქორალური პრელუდიები, პრელუდია და სამმაგი ფუგა მი-ბემოლ მაჟორი. ამათ წინ უსწრებდა დიდი ორღანისტის, ბახის წინამორბედის და მისი უფროსი თანამედროვის — დიტრიხ ბუკსტეჰუდეს პრელუდია და ფუგა ფ-დიეზ მინორი. ეს ის ბუკსტეჰუდეა, რომლის კონცერტზე დასასწრებლად ახალგაზრდა ბახმა, უსახსრობის გამო, 200 კილომეტრი ფეხით გაიარა.

კონცერტის დასასრულს შესრულებულ იქნა გამოჩენილი ფრანგი კომპოზიტორისა და ორღანისტის ცეზარ ფრანკის საორღანო ქორალი [illegible] ტაბა ერთ პროგრამაში თავისი ნიჭიერი შესრულებით წარმოგვიდგინა როგორც ბახმადელი, ისე საორღანო მუსიკის სწორეთპოვარი ოსტატის—ბახისა და XIX საუკუნის კომპოზიტორის ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები.

ახალგაზრდა ორღანისტის ეთერ მგალობლიშვილის დაკვრას აშკარად ემჩნევა რთული საორღანო ტექნიკის სათანადოდ დაუფლება. ეს ერთეული ხარვეზები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ცალკეულ ნაწარმოებთა ტექმიკური პასაჟების შესრულებაში, პირველი გამოსვლით გამოწვეულ აღელვებას უნდა მივაწეროთ. საერთოდ კი მთელმა კონცერტმა მსმენელებზე უაღრესად დიდი და დასამახსოვრებელი შთაბეჭდილება დატოვა.

სასიხარულოა, რომ ამიერიდან ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებას არა მარტო შეექმნა ორღანზე — ამ უძველეს და ამავე დროს თანამედროვე ინსტრუმენტზე — მდიდარი საორღანო ლიტერატურის ახმოვანების საშუალება, არამედ ისიც, რომ მგალობლიშვილის გამოსვლამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ საორღანო საშემსრულებლო ტრადიციებს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეიდან მუსიკის მოყვარული ჩვენი საზოგადოებრიობა ხშირად მოისმენს საორღანო მუსიკის კონცერტებს. ე. მგალობლიშვილის პირველი გამოსვლა, როგორც ორღანისტისა, უდავოდ მაღალი შეფასების ღირსია.

**ლია კალატოზიშვილი.**

## მაღაროელთა ჟურნალი

**ჟინათშარა.** (საკ. კორ.). ლიტერატურის ბევრი მოყვარულია დმიტროვის სახელობის მაღაროში. ბიბლიოთეკასთან შექმნილია ახალგაზრდა ავტორთა წრე, რომელმაც ახლახან გამოუშვა ხელნაწერი ჟურნალი „ლიტერატურული დარკვეთი". ჟურნალში მოთავსებულია მაღაროელი ახალგაზრდების — მ. ცერცვაძის, ა. აბაშიძის, უ. ტალახაძის, ჯ. ბარამიძის, ე. სახეჩიძის, ნ. სისვიძის, ბ. ღულუნიშვილის, დ. იაკობიძის ლექსები და ნარკვევები. ხელნაწერი ჟურნალი მხატვრულად გაფორმა ზეინკალმა ნ. ღულუნიშვილმა.

# ოკეანე მამაცებს ეპორჩილება

**თითქმის** ორი თვის განმავლობაში მთელი შორეული აღმოსავლეთის სანაოსნოს ყურადღება მიპყრობილი იყო მკაცრ ეპოპეაზე, რომელიც ოკეანეში მოხდა. თითქმის ორი თვის განმავლობაში დიზელელექტრომავალ „ენისეის" შესახებ აღდგენითა და შეშფოთებით ლაპარაკობდნენ. ახლა მის შესახებ სიამაყით ლაპარაკობენ.

იყო მომენტი როცა ზოგიერთი გამოცდილი მეზღვაურიც კი საეჭვოდ თვლიდა ამ გემის გადარჩენას. მან მეტად სერიოზული ავარია განიცადა: მძვინვარე სტიქიით სასტიკად დაზიანებული „ენისეი" თითქოს განწირული იყო. იმ დაზიანებათა აღწერილობას, რაც ხომალდს შემდტის კონცხთან სასტიკი ქარიშხლის დროს მოუვიდა, არაერთი ფურცელი ეჭირა. დაწგრეულია ძრო ცხვირიდან კიჩომდე, დაკარგულია საპის ფრთა, წყლით ავსებულია ელექტრომოტორის განყოფილება, მესამე ტრიუმი და დეიდვუდის ნაკვეთური, დეფორმირებულია მეორე ფსკერის დეკა, საძირკვლიდან დაძრულია მთავარი ძრავები, გატეხილია წყლისა და სათბობის ტანკები...

და მაინც „ენისეი" ცოცხალია. იგი იცურებს, იმუშავებს. იმას, რაც გააკეთეს ადამიანებმა, რომლებიც თავდადებულად იბრძოდნენ გემის გადასარჩენად, გაუზვიადებლად შეიძლება გმირობა ეწოდოს.

ვინ არიან ეს ადამიანები?

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ მიჯირს დავასახელო, — ამბობს მაშველი ექსპედიციის უფროსი კაპიტან-დამრიგებელი ნ. ფ. ინიუშკინი, — ამ რთულ ოპერაციაში მონაწილე ეკიპაჟებს ყველა წევრს ჩამოვთვლიდი, მაგრამ გაზეთში ადგილი არ იკმარებს.

გაჭირვების სიგნალს, რომელიც „ენისეიმ" გაგზავნა, დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ამ რაიონში მომუშავე გემები. ადგილი როდი იყო ავარიული ხომალდის ბუქსირზე აყვანა ქარიშხლის პირობებში, როცა ტალღები რვა მეტრზე მეტ სიმაღლეს აღწევდა. ამავე დროს ხომ საჭიროა ტვირთის გადმოტანა! „მალაია ვიშერას", „პორონაისკის", „პერეიასლავლ-ზალესკისა" და „ემელიან პუგაჩოვის", „დიმიდოს", „ბიკანას", „ადმირალ მაკაროვის", № 4 ყინულმჭრელის, დიზელელექტრომავალ „ოლენიოკის" და, რა თქმა უნდა, თვით „ენისეის" მეზღვაურებმა — ყველამ ნამდვილი გმირობა გამოიჩინა. გემბანზე მუშაობა უხდებოდათ ზვირთებში, რომლებიც ადამიანებს ზღვაში გადაყრას ემუქრებოდნენ. მთელი დღეღამეები არ სძინებიათ, დაღლილობა ავიწყდებოდათ. ახლა მატროსები ამბობენ: ჩვენს სამუშაოს ვასრულებდით, ეს ჩვეულებრივი საქმეაო!

მოკლე რადიოგრამები, რომლებიც სანაოსნოს მოსდიოდა ავარიის ადგილიდან, ბევრ რამეს ვერ გადმოსცემდა. რადიოგრამებს არ დაუსახელებიათ, მაგალითად, „ენისეის" მოტორისტი გენადი კაპუსტინი. როცა სათბობის ტანკი დაზიანდა და სათბობი მანქანაში იღვრებოდა, გენადი გაეშურა, რომ ნაპრალი ამოეგსო. თითქმის შეუძლებელი იყო განძრევა ვიწრო ნაპრალში ფილის ქვეშ გადახლართულ მილებს შორის. კაპუსტინი კი ყელამდე სათბობში იყო და აქ სანგით მუშობდა. და მანამდე არ გამოვიდა, სანამ ნაპრალი არ ამოვსო.

ტვინდეკში, სადაც კირი იყო, წყალი შევიდა. გაჩნდა ხანძარი. ხუთრომ იური სოკოლოვმა ჟანგბადის ხელსაწყო გაიკეთა და უყოყმანოდ შეავარდა ალში.

მყვინთავები ტერნოვოი, სვარეწკო, ფიცაკი... ახინი ერთმანეთის მიყოლებით ეშვებოდნენ ღრმა ტრიუმში და იქიდან მრავალტონიანი რკინაბეტონის ფილები ამოჰქონდათ. მუშაობდნენ ხელის ცეცებით სრულ წყვდიადში: ტრიუმი აევსო წყალს, რომლის ზედაპირიც დფარული იყო მაზუთის სქელი ფენით.

„ენისეის" ბოცმანი ვლადიმერ სიმონის-ძე კუზმენკო... მან არა მარტო გემბანის გუნდის მკაფიოდ გამართული მუშაობა მოაწყო, არამედ თოკის მტყორცნელი მანქანის ნამდვილ სნაიპერადაც გამოიჩინა თავი. გადასვლის ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ მომენტში — შიპუნსკის კონცხთან, როცა გაწყდა ღუზის ჯაჭვი, რომელიც გვარლთან იყო შეერთებული, და „ენისეი" „ლენინგრადს" ბოსწყდა, ბოცმანმა ოსტატურად სტყორცნა კაპრონის თოკი მაშველ გემზე. და ეს — ღამით, თერმომეტრალიან ქარიშხალში, როცა გემის დაგვერდება 45 გრადუსს აღწევდა.

ექსპედიციის ყველა მონაწილე გულწრფელი პატივისცემით იხსენიებს უკნულმჭრელ „ლენინგრადის" კაპიტანს ვასილ ალექსანდრეს-ძე გოლოხვასტოვსაც. ყოველი „ზღვის მგელი" როდი მოახერხებდა ისე ახლოს მისდგომოდა „ენისეის" აბობოქრებულ ტალღებში. „ლენინგრადი" თითქმის ზედ მიიყვანა დაზიანებულ გემთან.

შმიდტის კონცხიდან ვლადივოსტოკამდე 3.100 მილია. ქარიშხლიანი, მოუოლდნელობით აღსავსე მილები! „მარტო ენთუზიაზმით მივდივართ", — ჩაუწერია დღიურში „ენისეის" ელექტრიკოსს კომუნისტ ვ. ალექსანდროვს. ენთუზიაზმი თურმე ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს, თუ მას ემატება საზღვაო მეგობრობა, უშიშარობა, მოვალეობისადმი ერთგულება.

**ვ. კოჟემიაკო.**
(„პრავდა").



**სურათზე:** „ენისეი" ვლადივოსტოკის ნავსადგურში.
ფოტო ნ. ნაზაროვისა. (საკედესი).

## მომღერალი სტუდენტებთან

**კარგი** ტრადიცია დამკვიდრდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში. აქ შეიქმნა ესთეტიკური აღზრდის საბჭო, რომელსაც სათავეში უდგას პროფესორი ს. ხუციშვილი, საბჭო რამდენიმე სექციისაგან შედგება — ლიტერატურის, სამხატვრო, კინოხელოვნების და მუსიკალური. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს მუსიკალური სექცია, რომელსაც ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ახალგაზრდა დოცენტი თ. ჩოჩუა ხელმძღვანელობს. რეგულარულად ტარდება „მუსიკალური პარასკევი", რომელიც ფართო პროპაგანდას უწევს კლასიკურ მუსიკალურ კულტურას სტუდენტ-ახალგაზრდობაში.

ამას წინათ სტუდენტებთან სტუმრად იყო ქართველი მომღერალი ბაბუ ბრაგვიშვილი.

მომღერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დამსწრეთ ესაუბრა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი პ. ხუჭუა.

საკონცერტო ნაწილში ბ. კრავეიშვილმა ოპერის ახალგაზრდა სოლისტ თ. ჯოხთაბერიძესთან ერთად შეასრულა ვოკალური პარტიები ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინიდან", აგრეთვე ქართული რომანსები „ისევ შენ და ისევ შენ" და „გენაცვალე".

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტებმა: რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ნ. ტუღუშმა, თ. მუშკუდიანმა, ნ. ანდღულაძემ, ახალგაზრდა სოლისტებმა რ. კაკაბაძემ და მ. დონაძემ. როიალის პარტიას ასრულებდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კონცერტმეისტერი ი. გორდონი.

**ნ. სვანიშვილი.**

## „საქართველო" მსოფლიოს გზებზე

**ფოთლის** კრეფა ყველაზე შრომატევადი და მძიმე სამუშაოა ჩაის პლანტაციაში. მრავალი ქვეყნის ფირმები ცდილობდნენ შეექმნათ მანქანა, რომელიც შეცვლიდა ჩაის მკრეფავთა შრომას. ინალოგიური მუშაობა წარმოებდა თითქმის 20 წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის სპეციალურ საკონსტრუქტორო ორგანიზაციებშიც.

ეს მუშაობა წარმატებით დაგვირგვინდა, და დღეს საქართველოს პლანტაციებში 300 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" ათასობით ჩაის მკრეფავს ცვლის. მეჩაიეები და სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ ამ მანქანას. „საქართველოთი" უცხოთის ბევრი ქვეყანა დაინტერესდა. უკვე მოსულია შეკვეთები ინგლისის ფირმა „მასი-ფერგიუსონიდან", იაპონიის ფირმა „გორი კომპანიდან", არგენტინის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან.

## ოლიმპიური ლატარია

**საქართველოს** სსრ შემნახველმა სალაროებმა მიიღეს ოლიმპიური სპორტული ლატარიის მოგებათა ოფიციალური ცხრილები და შეუდგებიან მოგებათა გაცემას. სულ ლატარიაში გათამაშდა **6.000.000** მანეთის ღირებულების **1.800.000** ნივთისა და ფულის მოგება. მათ შორის გათამაშდა **60** ავტომანქანა „მოსკვიჩი" და „ზაპოროჟეცი", **300** მოტოციკლი, **300** მოტოროლერი, ტურისტული საგზურები საზღვარგარეთ საერთაშორისო სასპორტო შეჯიბრებებზე დასასწრებლად,

შემნახველი სალაროები გასცემენ ფულად მოგებებს და მოკალაქეთა სურვილის მიხედვით ფულს ნივთმოგებათა და საგზურთა სანაცვლოდ. ნივთმოგებათა ან საგზურთა მისაღებად ლატარიის იმ ბილეთების მფლობელებმა, რომლებსაც მოგება ხვდა, ეს ბილეთები ღია ფასიანი წერილით უნდა გადაუგზავნონ სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს ფულისა და ნივთების ოლიმპიური სპორტული ლატარიის ჩამტარებელ განყოფილებას შემდეგი მისამართით: ქ. მოსკოვი, ლუუნიკი, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი.

**ა. შტეინბერგი.**

## საინტერესო მცენარე

ეს მცენარე ძალიან საინტერესოა: იგი თითქმის ას წელიწადს ცოცხლობს. მისი სიმაღლე 1-2 მეტრს აღწევს. მაგრამ სიკვდილის წინ იგი უცებ მაღლდება და ემსგავსება ხეს, გაშლის დიდ, განიერ ყვავილებს, რომლებიც მზესუმზირას მოგაგონებთ. ისინი პირველად მწვანეა, შემდეგ კი ყვითლდება. რამდენიმე ხნის შემდეგ იწყება ქვედა ყვავილების ცვენა. წვერში რჩება რამდენიმე ყვავილი. ეს იმის მაუწყებელია, რომ მცენარე იღუპება. აგავასთან ყოველთვის მრავალი ცნობისმოყვარე იკრიბება. ყველა სინანულით შესცქერის ამ ლამაზ მცენარეს, რომელიც მათ თვალწინ კვდება.

რას იზამ, ასეთია ბუნების კანონი!

ფოტო ე. ნადარეიშვილისა.



## ჩემპიონატები • ტურნირები

## „ოქროს მატჩის" წინ



**ტაშკენტი** ემზადება დიდი ფეხბურთისათვის, რომელმაც უნდა გამოავლინოს ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი. ამ ასპარეზობაზე 70 ათასამდე მაყურებელს მოელიან. სტადიონის დირექციის ბილეთებზე შეკვეთები მოსდის არა მარტო მოსკოვიდან და თბილისიდან, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან — მურმანსკიდან, არხანგელსკიდან, სამხრეთ სახალინიდან, კამჩატკიდან. აეროფლოტს განზრახული აქვს ფეხბურთის დღეებში თბილისსა და ტაშკენტს შორის დაიწესოს საპაერო ხიდი.

მართალია, ორი დღეა, რაც ტაშკენტში აცივდა, ცრის კიდევაც, მაგრამ სინოპტიკოსები ვარაუდობენ, რომ 18 ნოემბერს იქნება მშრალი, მზიანი ამინდი, ტემპერატურა — 14-17 გრადუსი.

მეტოქეები მატჩისათვის გულმოდგინედ ემზადებიან. დღეს თბილისელებს საკუთარ მოედანზე შეხვედრა ექნებათ ადგილობრივ „ლოკომოტივთან". ამ შეხვედრას დინამოელთათვის წვრთნის ხასიათი ექნება, 14 ნოემბერს კი ისინი ტაშკენტისაკენ აიღებენ კურსს, რათა მოასწრონ აკლიმატიზაცია, შეეგუონ იმ მოედანს, სადაც უნდა გადაწყდეს ჩემპიონობის საკითხი.

ტორპედოელებმა დაამთავრეს ტურნე იტალიაში.

უკანასკნელი მატჩი მათ ჰქონდათ 11 ნოემბერს და სამშობლოში გამოემგზავრნენ. ივანოვსა და ვორონინს ტურნეში მონაწილეობა არ მიუღიათ, ისინი მოსკოვში დარჩნენ, ისვენებდნენ და ემზადებოდნენ დინამოელებთან შესახვედრად. იტალიიდან დაბრუნებისთანავე გუნდი ტაშკენტში გაემგზავრება.

## ზოგი რამ ჩემპიონატზე

□ **სეზონის** ყველაზე საუკეთესო პერიოდი თბილისის დინამოელთათვის 11 აგვისტოდან 8 ნოემბრამდე იყო. თითქმის სამი თვის მანძილზე მათ არც ერთი მატჩი არ წაუგიათ.

□ „**ა**" **კლასის** პირველი ჯგუფის იმ გუნდებში, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში ბრძოლის კარგი ტრადიცია აქვთ, წელს 50-მდე დებიუტანტი გამოიყოფა. მათ შორის თავი გამოიჩინა თბილისელმა ვ. რეხვიაშვილმა.

□ **თუ პირველ** წრეში ყველაზე მეტი ქულა (23) მოსკოვის ტორპედოელებმა შეაგროვეს, მეორე წრეში თბილისის დინამოელებს ბადალი არ ჰყავდათ. მათ 24 ქულა მოაგროვეს.

□ **ჩემპიონატში** გატანილი ბურთების რაოდენობა ყოველ მატჩზე საშუალოდ ორამდე ძლივს აღწევს. 272 შეხვედრაში გატანილია 533 ბურთი.

## „ერების ჟურნირი" ზაგრებში

**იუგოსლავიის** საჰადრაკო ფედერაცია შეუდგა სამზადისს დიდი საერთაშორისო ასპარეზობისათვის, რომელსაც მიმიზიდველები „ერების ტურნირს" უწოდებენ. იუგოსლავიელებს განზრახული აქვთ მიიწვიონ მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ბ. სპასკი, გროსმაისტერები რ. ფიშერი, ბ. ლარსენი, ფ. ოლიფსონი, ვ. ულმანი და სხვ.

12 მოწვეულ მოჰადრაკესთან ერთად ბრძოლაში ჩაებმება 10 იუგოსლავიელი.

## ჩემპიონმა წაიბორძიკა

**ტელ-ავივში** გრძელდება დიდი საჰადრაკო ტურნირი. უკვე სტარტზე მოხდა ზოგიერთი მოულოდნელობები.

ერთ-ერთ სიურპრიზად უნდა ჩაითვალოს სსრ კავშირის ჩემპიონის შტეინის დამარცხება ვრანეშიჩთან (კანადა). სპასკიმ მოუგო მაკსკეიზის. ბოტვინიკმა და კერესმა გადადეს პარტიები იანოვსკისთან და ანდერსონთან უკეთეს პოზიციაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მოჰადრაკეებმა დაამარცხეს რუმინეთის გუნდი 2,5:1,5. ასეთივე ანგარიშით უნგრელებმა მოუგეს იუგოსლავიელებს. ჰოლანდიისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრის შედეგია 3:1 ჰოლანდიელთა სასარგებლოდ.

გადადებული პარტიების დამთავრებისას საბჭოთა გროსმაისტერებმა ორივე შეხვედრა მოიგეს კანადელებთან და გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით 3:1.

ორი ტურის შემდეგ სსრ კავშირის გუნდს ჰქონდა ექვსი ქულა, ჰოლანდიის, პოლონეთის, რუმინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს — ოთხნახევარი ქულა თვითეულს.

გუშინ გაიმართა მესამე ტური.

## სნელის რეკორდი

**ველინგტონი,** 12 ნოემბერი. (საკედესი). ახალზელანდიელი მორბენალი პიტერ სნელი, რომელმაც ტოკიოდან შინ ორი ოქროს ოლიმპიური მედალი ჩამოიტანა, ამას როდი დასჯერდა. ოკლენდში საერთაშორისო შეჯიბრებაზე მან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 1.000 მეტრზე რბენაში — 2 წუთი და 16,6 წამი.

## ვ. ბანიკოვი— საუკეთესო მეკარე

**ფეხბურთელთა** საკავშირო ჩემპიონატებზე გარდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისა თამაშდება სპეციალური პრიზები, რომლებიც დაწესებულია ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა მიერ.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით შვიდი პრიზის მფლობელთა შესახებ. ცნობილი გახდა მერვეც. მიმდინარე სეზონში საუკეთესო მეკარედ აღიარებულია ვ. ბანიკოვი (ციევის „დინამო"). მას გადაეცემა ჟურნალ „ოგონიოკის" პრ. ზ.

**ეროვნული ფურცელი**

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

**თეატრები** 13 ნოემბერი — ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — ფაუსტი და ვალპურგის ღამე (მე-4 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — მკვდრის მზე (მე-14 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მელა და ყურძენი (მე-4 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გალილეო გალილეი (აბონ. № 29, საკ. 6 ს.). **სანკულტურის** — სიყვარულის მსხვერპლი.

**ტელევიზია** 13 ნოემბერი — 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — მოსწავლეთათვის— „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო", 18.30 — კინონარკვევი, 19.20 — გადაცემა ციკლიდან — „სამრეწველო ნაგებობათა არქიტექტურა", 19.40 — საუბარი — „ტურისტები საქართველოს გზებზე", 19.50 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „შემოდგომა მცხეთიაში", 20.05 — კინონარკვევი, 20.15 — გადაცემა ციკლიდან — „ახალი წიგნები", 20.40 — ქართული ხალხური სიმღერები. 20.55 — მხატვრული ფილმი „ტუდორი" (II სერია), 22.25 — ახალი ამბები.

**რადიო** 14 ნოემბერი — **პირველი პროგრამით** 10.15 — თანამედროვე რუსული სიმღერები და საცეკვაოები (მოსკოვი), 11.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის, 12.00 — „საწარმოო ტანვარჯიში" (მოსკოვი), 12.10 — გადაცემა ციკლიდან — „შვიდწლეული გმირები", 12.25 — ნაწყვეტი ა. ქერესელიძის ოპერა „ბერუჩადან", 13.10 — „პოეტის რვეული" — რუსი კლასიკოსი პოეტების ლექსები (მოსკოვი), 13.40 — აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები, 14.00 — რუსული მუსიკის კონცერტი (მოსკოვი), 15.00 — რადიოსადგურ „იუნოსტის" პროგრამა (მოსკოვი), 17.15 — მსუბუქი მუსიკა, 18.10 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები, 18.45 — „ღვერის მუსლიმ მაგომაევი", 19.20 — გაზეთ „იზვესტიის" მიმოხილვა (მოსკოვი). 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ნუ დაგაკარგავთ ფუჭად დროს", 19.45 — მედუდუკეთა ანსამბლის კონცერტი, 20.15 — „ძილსპირული", 20.30 — სატირიულ-იუმორისტული რადიოჟურნალი „შოლტი", 21.00 — რახმანინოვი. პირველი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 21.30 — გადაცემა — „გერცელ ბაიზოვი", 22.00 — საღამოს კონცერტი.

**რედაქტორის მოადგილე**
**ბ. თათარიშვილი.**

# მონადირე—ბუნების დაცველი და მეგობარი

**ნადირობა** სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. საქართველოში აღრიცხვაზეა 48 ათასზე მეტი მონადირე, ბევრგან შექმნილია მონადირეთა პირველადი კოლექტივები. მარტო თბილისში ასამდე კოლექტივია, რომლებშიც 1900-მდე მონადირე ირიცხება. მონადირეთა საუკეთესო კოლექტივები შექმნილია კიროვის სახელობის ქარხანაში (თავმჯდომარე რ. ღოენტი), ბორეშუმსაქსოფ ფაბრიკაში (თავმჯდომარე შ. მაჩიტაძე) კინოსტუდია „ქართულ ფილმში" (თავმჯდომარე შ. დათუკიშვილი) პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტში" (თავმჯდომარე ლ. სანებლიძე) და სხვ. ამ კოლექტივებში გაერთიანებული მონადირეები პირნათლად ასრულებენ ყველა საწესდებო მოვალეობას, ულმობლად ებრძვიან ბრაკონიერებს.

უკანასკნელ დროს გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული საქართველოში ფრინველ-ნადირის მოსამრავლებლად. გატარებულ